ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6227445

ნომერი: AR1931246

თარიღი : 21.11.2022

გაცემის თარიღი : 29.11.2022

გაცნობის თარიღი : 02.12.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ი. ჯავახიშვილი , N 12;

დამკვეთი-განმცხადებელი

- როლანდი ჯანაშვილი პ/ნ 01006000845
- საქართველო, ქალაქი თბილისი, დიღმის მასივი, III კვარტალი, კორპუსი 29, ბინა 31

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური შენობა-ოფისები, შეხვედრების ოთახები, სასტუმრო აპარტამენტები და კაფე
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: კახაბერ დეკანოიძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ,,ემ დე ჯგუფი''
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205295811

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ,,ბაგი ჯეორგია''
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 402044300

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: როლანდი ჯანაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01006000845

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 5678307
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 12.11.2021

ქ.თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2015 წლის 17 აგვისტოს N2047726 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ.
ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2015 წლის 17 აგვისტოს N2047726 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი - ჩუღურეთი), ივ. ჯავახიშვილის ქ.N12-ში, იციკ მოშეს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, არსებული შენობების დემონტაჟისა და მრავალფუნქციური შენობის მშენებლობის არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 20 აგვისტოდან 2017 წლის 20 თებერვლის ჩათვლით.
2017 წლის 02 თებერვლის N AR1474722 განცხადების საფუძველზე (განმცხადებელი მოქ. კ. დეკანოიძე) სამსახურის 2017 წლის 27 თებერვლის №3121493 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2015 წლის 17 აგვისტოს N2047726 ბრძანებაში, კერძოდ "ნებართვა ძალაშია 2015 წლის 20 აგვისტოდან 2017 წლის 20 თებერვლის ჩათვლით" შეიცვალა ,,ნებართვა ძალაშია 2018 წლის 28 ივნისის ჩათვლით''.
2018 წლის 19 მაისის N AR1602171 განცხადების საფუძველზე (განმცხადებელი მოქ. დ.ქიმუცაძე) სამსახურის 2018 წლის 30 მაისის №3984818 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2015 წლის 17 აგვისტოს N2047726 ბრძანებაში, კერძოდ "ნებართვა ძალაშია 2015 წლის 20 აგვისტოდან 2017 წლის 20 თებერვლის ჩათვლით" შეიცვალა ,,ნებართვა ძალაშია 2019 წლის 28 ივლისის ჩათვლით''.
2019 წლის 30 მაისის N AR1684654 განცხადების საფუძველზე (განმცხადებელი დ. ქამუცაძე, მინდობილობა, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის N190102557, 31.01.2019 წ) სამსახურის 2019 წლის 06 ივნისის № 4532051 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 17 ივლისის №2047726 ბრძანებაში, კერძოდ, "ნებართვა ძალაშია 2017 წლის 20 თებერვლის ჩათვლით" შეიცვალა ,,ნებართვა ძალაშია 2020 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით“;
2020 წლის 25 აგვისტოს N AR1767026 განცხადების საფუძველზე (განმცხადებელი რ. ჯანაშვილი) სამსახურის 2020 წლის 28 სექტემბრის № 5121707 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 17 ივლისის გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი №2047726 ბრძანებაში, კერძოდ, "ნებართვა ძალაშია 2017 წლის 20 თებერვლის ჩათვლით" შეიცვალა ნებართვა ძალაშია 2020 წლის 28 სექტემბრიდან 2021 წლის 28 ნოემბრის ჩათვლით“
2021 წლის 27 ოქტომბრის NAR1858526 განცხადების საფუძველზე (განმცხადებელი რ. ჯანაშვილი) სამსახურის 2021 წლის 12 ნოემბრის № 5678307 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 17 ივლისის №2047726 ბრძანებაში, კერძოდ, "ნებართვა ძალაშია 2017 წლის 20 თებერვლის ჩათვლით" შეიცვალა ნებართვა ძალაშია 2021წლის 12 ნოემბრიდან 2022 წლის 13 დეკემბრის ჩათვლით “

2022 წლის 21 ნოემბრის NAR1931246 განცხადებით სამსახურს მომართა მოქ. რ. ჯანაშვილმა და მოითხოვა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2015 წლის 17 აგვისტოს N2047726 ბრძანებაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელება.
სამსახურმა განაცხადის განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ.თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 17 ივლისის №2047726 ბრძანებაში, კერძოდ, "2015 წლის 20 აგვისტოდან 2017 წლის 20 თებერვლის ჩათვლით" შეიცვალოს „ნებართვა ძალაშია 2022 წლის 29 ნოემბრიდან 2023 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით;

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 17 ივლისის №2047726, 2017 წლის 27 თებერვლის N3121493, 2018 წლის 30 მაისის N3984818 და 2019 წლის 06 ივნისის № 4532051, 2020 წლის 28 სექტემბრის № 5121707, 2021 წლის 12 ნოემბრის № 5678307 ბრძანებებთან ერთად.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.